სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

დარია ზაქარიას ასული და ელისაბედ სერგეის ასული მირზოევისანი და კნეინა მარიამი ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე — ქმრისას და მესამე ძმისას

მინაი ივანეს ძის მირზოევისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—1)

„ცნობის ფურცლის“
ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან
დ. მორდოვცევისა
ამირანის შვილნი
მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს.
ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. სახოკიას სახელობაზე
ვინც 30 ცალს ერთად იყიდის, „ამირანის შვილნი“ თითო 60 კაპეიკად დაეთმობა.
ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი“ გასასყიდად მარტო 100 წიგნია.



მალე აქედან გამგზავრების გამო
იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები
იქვე ყიდულობენ
კავკასიის ნადირებს ცხოველად:
ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.
მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.
(12—9) ჰუგო ვინკლერი

ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ
трехъ величинъ
и
ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ
продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и Ко
Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.
პრესები ყურძნის დასაჭყლეტად
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.
სავაჭრო სახლში
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.
(15—12)

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა“
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—25) პატივისცემით ილია აბრამიშვილი
Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ
Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ, дешевизна

ვექილი
ი. ი. ზურაბოვი
გადავიდა სუდების ქუჩაზე, სახ. № 15. (10—6)

მხატვარი
გ. გაბაშვილი
გაკვეთილებს აძლევს კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—3)

კბილის ექიმი
ალექსანდრე სოლოღაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—14)

სტუდენტი ეძებს გაკვეთილებს სხვასახლში
მოიკითხონ ავჭალის ქუჩაზე, № 9 ნაუმოვის სადგომი, ან „ცნ. ფურცლის“ რედაქციაში. (6—2).

დოქტორი მედიცინისა დ ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გურრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** დიდი მთავრის გამგზავრება. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, ტფილისიდან გაემგზავრა ბორჯომს.

*** დიდი მთავრის სიტყვა დღეობაში. „ძველი მთავარ-სარდალი ბედნიერია, რომ მოხუცების დროს შესძლო მოსვლა და კვლავ ნახვა თავისის შეუდარებელის კავკასიის ჯარისა.

„არასოდეს არ დავივიწყებ იმ თვრამეტს წელიწადს, რომლის განმავლობაშიაც მქონდა ბედნიერება და კავკასიის ჯარს სათავეში ვუდექი. ამ ჯარსა და მხოლოდ ამ ჯარს, ვიმეორებ, უნდა ვუმადლოდე და არა ჩემ პირად ღირსებათ იმ წარჩინების ნიშნების მიღებისა გამო, რომლითაც განსვენებულმა ხელმწიფე იმპრატორმა ალექსანდრე მეორემ კეთილ ინება და შეამკო ჩემი მკერდი.

„ღმერთსა ვთხოვ, რომ ახალგაზდა კავკასიელნი ამიერიდგანაც ჰბაძავდნენ მათთა ხელმძღვანელთა მაგალითს—ძველ ამხანაგებისას!

„სრულის გულითა და სულით ვსვამ კავკასიის ჩინებულ ჯარის სადღეგრძელოს! ურა!“

⁂ **გზათა მინისტრის ამხანაგის მოსვლა.** 21 სექტემბერს ბათომში ჩამოვა გზათა მინისტრის ამხანაგი, ინჟინერი გენ.-ლეიტ. პეტროვი, რომელიც იმავე საღამოს საგანგებო მატარებლით გამოემგზავრება ტფილისში.

⁂ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის დათვალიერება.** 22 სექტემბერს ბაქოში მოელიან რუსეთის რკინის გზების მთავარ ინსპექტორს, ინჟინერს გორჩაკოვს ამიერ-კავკასიის რკინის გზის დაწვრილებით დასათვალიერებლად და სარევიზიოდ.

⁂ **ქუთაისის გუბერნატორი** გენ.-მაიორი გერშელმანი ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა სამსახურის გამო.

⁂ **ცეცხლის გაჩენა.** გუშინ, 19 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა გ. მელკიკოკოვის ფარჩეულობის მაღაზიას, რომელიც იმყოფება „კავკაზ“-ის რედაქციის გვერდით. ცეცხლი ლამფისაგან გასჩენოდა, რომელიც ანთების დროს გამსკდარიყო. მთელი ერთი საათი ცეცხლი საშინლად გუზგუზებდა და თანდათან ედებოდა; თუმცა ცეცხლის-მქრობელი რაზმი მაშინვე იქ გაჩნდა, მაგრამ აბა რას გააწყობდა უწყლოდ! წყალი შეწყვეტილი იყო ყველგან. ბოლოს, როგორც იყო, წყალი მოვიდა და თუმცა ძალიან მოდებული იყო ყოველ მხრივ, მაგრამ მაინც მაშინვე ჩააქრეს. ცეცხლი სხვა შენობებს არ გადასდებია, ხოლო მელკიკოკოვის მაღაზია სულ მთლად გადაიწვა. შენობა დაზღვეული ყოფილა.

⁂ **ქალაქის სკოლის კურთხევა.** გუშინ 12 საათზე, აკურთხეს და გახსნეს ქალაქის მესამე სასწავლებელი, რომელიც დაარსეს დიდუბეში მეფე ირაკლი II-ის სახელზე.

⁂ **მოწაფეთა რიცხვი კავკავის სკოლაში.** წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კავკავის სკოლაში წელს ძალიან ბევრი მოწაფე შესულა; ამის გამო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს ამ სკოლისათვის მესამე მასწავლებელი.

⁂ **ახალი სამეურნეო ამხანაგობა ქუთაისში.** „ნ. ო.“-ეს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ მიიღო ქუთაისში ახლად დასაარსებელ სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წესდების პროექტი.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე, შესდგომია ცნობილ იტალიელ მწერლის ჯიაკომეტის ისტორიულ რომანის „სპარტაკის“ ბეჭდვას. ეს საუცხოვო რომანი ქართულად უთარგმნია მწერალ ქალს ნინო ბექან. ყიფიანისას.

⁂ **საბაღოსნო კრების ბიუროსაგან.** კავკასიის 1-ლ საბაღოსნო კრების ბიურო თხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც სურს 6 ოქტომბრისათვის დანიშნულ კრებაზე მოხსენებათა წარდგენა, დააჩქარონ მათი გამოგზავნა ბიუროში, რომ ისინი თავის დროზე დაბეჭდონ კრებაზე განხილვის გასაადვილებლად.

⁂ **ბაღოსნობის შესახებ თხზულებათა ავტორების საყურადღებოდ.** იმ აზრით, რომ კავკასიის მეორე საბაღოსნო გამოფენაზე, რომელიც დანიშნულია ამ წლის 1-დან 15 ოქტომბრამდე, შესდგეს რაც შეიძლება სრული განყოფილება თხზულებათა ბაღოსნობის შესახებ, რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც დაუბეჭდავთ რამე ამ დარგის შესახებ, წარმოგზავნონ თავიანთი ნაწერები, რომლებიც დაუბრუნდებათ კუთვნილებისამებრ ავტორებს და პატრონთ, თუ ისინი შესაძლებლად ვერ სცნობენ შესწირონ ეს ნაწერები საბაღოსნო წიგნთ-საცავს, რომელსაც განყოფილება აარსებს კავკასიის მეურნეთა სასარგებლოდ. თხზულება უნდა შეეხებოდეს: ბაღოსნობას, მებოსტნეობას და ნაყოფების მოყვანას საზოგადოდ, ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენებას, სამრეწველო, სამკურნალო, სურნელოვან და მავნებელ მცენარეთ, ბაღის მცენარეთა მოვლა-მოშენებას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და სხვ.

⁂ **ქართველი მართლ-მადიდებელი სომხის მედავითნედ.** ტფილისის სომეხთ გრიგორიანის ნოშრევანის ეკკლესიაში, აგერ ეს მესამე წელიწადია, რაც მედავითნედ ჯამაგირით ჰყავთ დაჭერილი აქაურივე მცხოვრები გლეხი კოტე ფანჯარიძე; ამ ხნის განმავლობაში აღსარებასაც სომხურ ეკკლესიაში ამბობს და იქვე ზიარობს; უფრო გასაოცარი და საკვირველი ისაა, რომ ხსენებულ ფანჯარიძის მშობლებმა სომხური სრულიად არ იციან, აგრეთვე არც თვითონ ფანჯარიძემ იცოდა. ის ყოფილა შეგირდათ სომეხ მკალავთან. უმეცადინია და სომხური წერა-კითხვა უსწავლია, შემდეგ საეკკლესიო გალობა და დღეს ნამდვილი გამართული და ტიბიკონის მცოდნე სომხის მედავითნეა. ქართული წერა-კითხვა სრულებით არ იცის და არც რუსული. ეკკლესიაში ყოველივე წესებს მღვდელ-მოქმედების დროს ჩინებულად ეხმარება; თვითონ არ ამხელს თუ ქართველია და ვინც ჰკითხავს, იძახის: „სომეხი ვარო“. ხსენებულის მშობლები ძალიან ჯავრობენ, უშლიან, მაგრამ მაინც ვერ მოაშლევინეს.

⁂ **საზიზღარი მკვლელობა.** სექტემბრის 17-ს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, სანაპირო ქუჩაზე, ისარლოვის სახლებში, არტემას ლუდხანაში ფანჯრიდან ჩაპარულიყვნენ ბოროტ გამზრახველები. ამ დროს ლუდხანის პატრონს იქვე სძინებოდა და ხმაურობაზე გამოჰღვიძებოდა; ქურდები მაშინვე მიჰვარდნენ თურმე, თოკით ხელები შეუკრეს და საზიზღრად ყელი გამოსჭრეს. მეორე დღეს პოლიციამ გასტეხა კარები, გამოიტანეს მკვდარი და ანატომიურ მუზეუმში წაიღეს. ბოროტ-მომქმედნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **სოხუმი. ქართველ ექიმის ჩამოსვლა.** ქ. ლოზანიდან (შვეიცარიაშია) უკვე ჩამოვიდა აქაური მკვიდრი ბ-ნი ალექსანდრე მაჭავარიანი, რომელმაც წრეულ სწავლა დაამთავრა ლოზანის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზე ექიმობის დოქტორის ხარისხით.

⁂ **ს. ჩხენიში** (ქვემო იმერეთი). **დღეობა ომი და კაცის დაჭრა.** აქ რვა სექტემბერს ყოველ წლობით იციან „ღვისმშობლობა“ ყველა ამ სოფლის მცხოვრებნი ამ დღისთვის დიდს მზადებაში არიან ხოლმე, და თავიანთი სტუმრების შემწეობით ამ დღეობას სიმთხვრალით და ჩხუბით ასრულებენ. ესენი ამ საზარელ ჩვეულებას ყოველ წლობით აუცილებელ მოვალეობათ სთვლიან. ეხლა წასულ „ღვთისმშობლობას“ აქ ორი კაცი დაჭრეს. ამ სოფლის ახალგაზდები განურჩევლად წოდებისა, ყველა ხმალ-რევოლვერებით შეიარაღებულნი იყვნენ თითქო საომრათ მოსულანო. საკვირველია, ამ სოფლის ბიჭ-ბუჭნიც ამგვარათ ექცევიან და არავინ კრინტს არ იღებს. ეს დღეობა ამათვის ორგვარად საზარალოა. ამათ სხვა კეთილ დაწესებულება გაუშვიათ და ყოველ წლივ ამგვარ ხარჯს, ეწევიან ხოლმე. კარგს იზამს ამ სოფლის მცხოვრებნი, თუ ამ დღობას არ მოიშლიან მთლად, ჯარიანობა მაინც მოსპონ რომლითაც ცოტათი მაინც შემცირდება ყოველ წლივ ასეთი სამწუხარო მოქმედება. ძლიერ საჭიროა, რომ აქაურს თავ-გასულობას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

ე. ჩი—ძე

⁂ **ს. გუმბრა** (იმერეთი), **ჩხუბი და მკვლელობა დღეობაზე.** 8 სექტემბერს, ღვთის მშობლობა დღეს, თემში უბრალო მიზეზის გამო გლეხთ გოგოლაძეებს და გვირეშაიძეებს შუა ატყდა ჩხუბი, შეიქმნა ხმარება ხმალ-ხანჯალ-რევოლვერისა და კეტისა. ორივე მხრით გაილახა ოცამდის კაცი. მათ შორის თ. გვირეშაძე, ოქროპირ გოგოლაძე და მისი შვილი მძიმედ დაიჭრნენ. ო. გოგოლაძე მეხუთე დღეს კიდევაც გარდაიცვალა და დარჩა დაობლებული მისი წვრილი-ცოლშვილი. ეს ჩხუბი ორ საათს გაგძელდებოდა, ისე აღელვებულნი იყვნენ მოჩხუბრები, რომ გასაშველებლად ვერავის მიებედნა მათთან. საუბედუროთ მათდა, თემში პოლიციის ჭაჭანებაც არ იყო.

ი. ტ.

⁂ **დ. ხობი** (სამეგრელო). **კეთილი აფთიაქარი.** 9 წელიწადია, რაც დ. ხოპში თავის ხარჯით აფთექა გახსნა ბ. ვალ. ვას. ძზიუბენკომა, — ამ დროს განმავლობაში, მუდამ ღია იყო მისი აფთექის კარი, ფულიანი და უფულოსთვის დიდი და პატარასთვის. ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი გაჭირვებულისთვის მას გაუწვდია მარჯვენა მისი ისე, რომ მარცხენას არ გაუგია. სწორეთ, ნამდვილი უებარი წამალი იყო ყველასთვის, თვისის ალერსიანის დარიგებით, მეტად ბეჯითი იყო თავის მოვალეობისა. ბ-ნი ძზიუმენკო დიდი შემწეობას გვაძლევდა დაბა ხობის და აგრეთვე გარშემო მისი მდებარე სოფლის მცხოვრებლებს მით, რომ მან თავის ხარჯით გააწყო ფოსტის კარრესპონდენციების ყუთი, რომელიც ყოველ დღე დაჰქონდა დელიჟანს ახალ-სენაკის ფოსტიდან. ამის შემწეობით ბევრმა აქაურმა მცხოვრებლებმა დაიწყეს სხვა და სხვა რუსულ ქართულ გაზეთების გამოწერა და კიდევაც ყველანი თავის დროზე ღებულობდენ.

არც ერთ მოხელეს არ დაუმსახურია ის სიყვარული და პატივი

სცემა, როგორიც ბ. ღზიუბენკომ; ამიტომ დ. ხოპის ვაჭრებმა სადილით პატივი სცეს. ვისურვებთ მის მოადგილესაც დაემსახუროს ასეთი სიყვარული... ბ. ღზიუბენკოს კეთილ კაცობას სადილის და სიტყვების მაგიერ ჩვენ აღვნიშნავთ პატარა კალმის წვერით. ვისურვებთ მისთვის სიცოცხლეს, კვლავ მოყვასთა სასარგებლოდ.

კალისტრატე

*** **ს. ჭანჭათი** (გურია). აქაური ამბები. ჭანჭათი, როგორც ამას წინადაც მოგახსენეთ, წარმოადგენს ერთს პატარა, ფრიად ღარიბ სოფელს. აქ მარტო ხვნა-თესვას მისდევდნენ, ხოლო დიდი ხანი არ არის, რაც აბრეშუმის მოყვანას მიჰყვეს ხელი და თანდათან ვრცელდება ხალხში და ფეხს იკიდებს. ასე რომ მთელს სოფელში ისეთს ოჯახს ვერ ნახავთ, რომელიც აბრეშუმის მოყვანას არ მისდევდეს. რასაკვირველია, დიდათ სანუგეშოა ეს გარემოება, რადგან აბრეშუმის ფასი თანდათან მატულობს ჩვენში და თუ ამდენ ხანს ვერაფერ სარგებლობას ხედავდნენ, ამის შემდეგ მაინც ნახავენ. ეს იმედი აღგვიძრა ჩვენ წლევანდელმა ფასებმა. მხოლოდ საქმე ის არის, რომ ხეირიანი მოვლა-მოყვანა ბევრმა არ იცის და ხშირად უფუჭდებათ: ზოგს მთლად ელუპება ხელის-შეუწყობლობის გამო და ზოგსაც უვარგისი პარკი გამოუდის, რის ფასიც მისი შრომის მეათედსაც არ შეადგენს. ამ გარემოებამ ბევრს გული გაუტეხა და თუ სულ არ აიღეს ხელი, გულგრილად მაინც ეკიდებოდნენ. აქამდის ხელს უშლიდათ კიდევ თესლის უვარგისობა, ხოლო ახლა ამ ნაკლსაც აშორებულნი არიან, რადგან, თუ თვითონაც მოინდომებენ, კარგ თესლს ადვილად იშოვნიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს უფრო დიდი ხალისით მოჰკიდებენ ხელს აბრეშუმის მოყვანას და ამით ამდენს გაჭირვებას ცოტათი მაინც შეიმსუბუქებენ. სანუგეშო კიდევ ისაა, რომ ამ საქმეს ჩვენებური „უსაქმური“ მანდილოსნები მისდევენ და დიდს ჭაპან-წყვეტასაც იტანენ აბრეშუმის მოყვანის დროს.

რათა უფრო კარგად შეიგნონ ჩვენმა მანდილოსნებმა აბრეშუმის მოვლა-მოყვანის საქმე, ამიტომ საჭიროა, როგორც სხვაგან იქცევიან, ჩვენშიაც გამართონ საუბრები ამ საგანზე შეგნებულმა და მცოდნე პირებმა. ჩვენის აზრით, ძნელი არ არის ამის მოხერხება და ყველანიც სიამოვნებით დაესწრებიან.

— მტრობა და გაუტანლობა. ჩვენს სოფელში ძალიან ფეხ-მოკიდებულია ერთმანერთის გაუტანლობა, შური და მტრობა. ძმა ძმას ვერ ეგუება, შვილი მამას და მეზობელი მეზობელს... სულ ერთმანერთის ჩხუბში და დავიდარაბაში არიან როდესაც ერთობით და სიყვარულით ვერ დაუძლევიათ ამდენი გაჭირვება, იმის დაძლევას ერთმანერთის განცალკევებით ჰფიქრობენ! ოღონდაც რომ სამწუხაროა, მკითხველო, მაგრამ ასე კია!..

ს. ჭანჭათელი

*** **დ. სურამი**. ბოდიშის მოხდა. გაზ. „ცნობ. ფურც.“ მე-626 №-ში ჩემგან, ჩემს პატარა წერილში „კეთილ მოძღვარ“-ში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ მ. თევდორე ბერიძეს თავის ხარჯით ჰყავს მასწავლებელი და სკოლასაც თავის ხარჯით აწარმოებს-მეთქი, უნდა იყოს: სკოლის შენობა და ავეჯი თავის ხარჯით შეიძინა და სკოლის ღარიბ შეგირდებს უფასოთ აძლევს და სხვ. ბოდიშს ვიხდი შეცდომით მოხსენებისთვის.

ხანდრო

*** **ს. ითხვისი** (შორაპ. მაზ.). ხალხის დაუდევრობა. ს. ითხვისი შეიცავს ოთხას მეკომურს და სიდიდით პირველი სოფელია მთელ მაზრაში. ითხვისი ბუნებისაგან უხვათ არის დაჯილდოვებული, და ყოველ მხრივ შემკულია. აქ ცხოვრობს რამოდენიმე კომლი აზნაური, რომლებიც გლეხებზე უფრო ღარიბათ არიან. უწინ ნივთიერად აზნაურები სჯობდნენ, მაგრამ დღეს გლეხები სჯობნიან; აი, ამაზე არის ნათქვამი: „წინანი უკანა და უკანანი წინაო“.

ნივთიერ სიღატაკეს აქ თან მოსდევს გონებრივი სიღატაკეც. არის აქ მშვენიერი ეკკლესია მოხდენილის გალავნით, მაგრამ არ არის სკოლა; ეს ერთად-ერთი წყაროა წერა-კითხვის სწავლისა, მაგრამ.... მაგარი ის არის, რომ აქ, არავინ ზრუნავს ხალხის განათლებაზე, ყველა თავის ჯიბე-მუცელს ჩასტირის. ერთად-ერთი მაგალითი იყო, რომ ათი-თორმეტი წლის წინათ ერთმა, ხონში სწავლა-მიღებულმა, დაარსა აქ სკოლა და ბავშვებიც დიდ სიხარულში იყვნენ, რომლებიც ამ სკოლას ეხლაც მოიგონებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, მასწავლებლის უდროოთ სიკვდილმა სკოლასაც დღე მოუსწრაფა და სამუდამოთ გამოუკეტა კარები. მას შემდეგ მივჩერებივართ და არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ სკოლას, მთავრობა ამათ წინადადებას აძლევს, სკოლა გახსენით და ფულიც მომთხოვეთო, ესენი კი რაღაც მიზეზების გამო უყურადღებოდ სტოვებენ ამ წინადადებას.

კვიმატი

*** **ს. შუქრეთი** (ზემო-იმერეთი) შავი ქვის მუშების გაჭირვება. ისეთი უწეს-რიგობა, როგორიც დღეს სუფევს ს. შუქრეთში (ჯირკნალში), საიდანაც ურმებით ქვა იგზავნება ზესტაფონში, თითქმის მაშინაც არ ყოფილა, როცა ათი ამდენი მადნის მწარმოებლები იყვნენ აქ, ე. ი. ამ ექვსი წლის წინად, სანამ ჭიათურის რკინის გზა გაკეთდებოდა და საბრალო მუშა ხალხს ურმებით ქვას ზიდვით სარგებლობა მოესპობოდა. დღეს, როცა უწინდელ ქირის 30 და 25 კაპიკის ნაცვლად, საწყალ მეურმეს ქირათ 10 თუ 12 კაპიკი ეძლევა ფუთი ქვის გადასატანად 50 ვერსის მანძილზე და როცა ამასთანავე ათში ორ ფუთს უქირავოდ ზიდავს, სხვა მრავალ გვარი წვალება და შეურაცხყოფა ადგია ქვის გამომგზავნთაგან,—თუ ცემა-ტყეპით, თუ ლანძღვა-გინებით, ურემის გადაბრუნებით, ხარების დაფრთხობით, ურმებითგან საგზლის მოპარვით და სხვა და სხ. ქვის გამგზავნი რაინდები განგებ იმისთვის დაუყენებია მათ „ხაზეინს“, რომ მეურმეებზე ძალ-მომრეობა იხმარონ და მათაც იმედი აქვთ, რომ ასეთი საქციელის შემწეობით „ხაზეინებიდან“ კარგ ჯამაგირს მიიღებენ. ამ ვაჟბატონებს არ შეუძლიათ პატიოსანის შრომით თავი ირჩინონ, ესენი ნამდვილი რაინდები ბრძანდებიან და თავიანთი რაინდობა გაუხდიათ თავის სარჩენ ხელობად. მათი თავ-გასულობისათვის ადგილობრივ ადმინისტრაციას ჯერ კიდევ ვერ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება და ისინიც არხეინად პარპაშობენ.

მართალია, წელს ჭიათურის ბოქაულმა ბ-ნმა არდიშვილმა ერთი პოლიციელი დარაჯი გაგზავნა ს. შუქრეთში მეთვალ-ყურეთ და წესიერების დასაცველად, მაგრამ რა გამოვიდა! ნაცვლად იმისა, რომ ამ დარაჯს სხვები დაეცვა რაინდობისაგან, რომლებიც უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურნი არიან, მათ თვითონ ეს დარაჯი მიბრეგვეს, თავი გაუტეხეს და შემდეგ თვითონ გაგზავნეს ჭიათურის ბოქაულთან საქმის განსასჯელათ. ყველას ეგონა, რომ ამ საქმეზე სასტიკი გამოძიება იქნებოდა და რაინდებს უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევდნენ, მაგრამ ჯერაც არაფერი ამბავი ისმის. ვნახოთ რა იქნება!..

მალი

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო) იარმუკა, მოსავლის უიმედობა და წარმოდგენები. პირველ ენკენისთვიდან დ. აბაშაში ყოველ წლივ იმართება იარმუკა. წარსულ წლებზე ნაკლებათ არც წრეულსაც ჩაივლიდა ჩვენი იარმუკა, რომ განუწყვეტლივ წვიმებს ხელი არ შეეშალა, მაგრამ ბოლო დროს, როგორც იქმნა, გამოიდარა და ჩვეულებრივად ლამაზი ტურფა მანდილოსნებით და აუარებელი მოვაჭრე ხალხით გაივსო მთელი ბაზარი; ქუჩა ყვავილებით მოქარგულ სიმშვენიერეს წარმოადგენდა მოსეირნე საზოგადოებით. წრეულს უფრო წყნარი და მშვიდობიანი იარმუკა იყო. არღნების ღრიალს, რომელიც ტყვილად აცდენს საქმიან კაცს, წრეულს ხმა არ ამოუღია ჩვენი ბოქაულის წყალობით.

ამ სასიამოვნო და სასარგებლო თვალის სეირში ქუთაისიდან გვესტუმრა ქართველ მსახიობთა დასი და წარმოდგენა გამართეს. პირველად წარმოადგინეს „ქართველი დედა“ ა. ცაგარლისა და „პრიკაშჩიკი შკაფში“. წარმოდგენას ხალხი სულ ცოტა დაესწრო, მაგრამ მსახიობთა მშვენიერმა თამაშმა ბევრი ატირა ცხარე ცრემლით, ხოლო ვოდევილმა სიცილით დახოცა საზოგადოება. სწორედ დიდი მადლობის ღირსია პატივცემული მსახიობნი, რომ ჩვენ დაყრუებულ დაბაში ჩამოვიდნენ და გაგვამხიარულეს. ჩვენს ვაჭრებს-კი საყვედური ეკუთვნის, რომ ერთმაც არ ისურვა ამ წარმოდგენას დასწრებოდა; იმათ ეგონათ ტიკინებს გვიჩვენებენ, „პეტრუშკასაო“ და პირველ წარმოდგენას თითქმის არავინ დასწრებია, ხოლო მეორე ღამეს განმეორებით წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩნენ.

აქეთ წრეულს ძრიელ ადრე აცივდა ასე, რომ თუ საზამთრო ტანისამოსი არ ჩაიცვით, ისე ვერ გამოხვალთ კარში, რამაც მოსავლის იმედი მთლად დაუკარგა ქვეყნის მარჩენელ მუშა ხალხს, სიმინდს და ღომს დამწიფება შეუფერხდება.

ბან-დონ

*** **ს. გუბი** (იმერეთი). გზების გაფუჭება. მოგეხსენებათ, ხონში მცხოვრებლებმა რამდენიმე სხვა სოფლების დახმარებით გადმოიყვანეს მდ. ცხენის წყალი, გამოატარეს და წაიყვანეს იქით, სადაც მათი სურვილი იყო. ამ საქმეში გუბს არ მიუღია მონაწილეობა და არც წყალს გაუვლია მათ სიახლოვეს. ბოლოს და ბოლოს კი დაიწყეს სინანული და ბ. სამსონ თათეიშვილის თაოსნობით კიდეც იყიდეს ნაწილი გადმოყვანილ წყლისა. მათ გასჭრეს, პატარა არხი და გამოატარეს წყალი, როგორც გუბში, ეგრეთვე ს. ჯიხაიშში. ეს რასაკვირველია, დიდად სასარგებლო საქმეა და ამ საქმის თაოსნობისთვის დიდი მადლობის ღირსნი არიან სამსონ თა-

თეიშვი, მღვდელი იოსებ წერეთელი შვილებითურთ და რამდენიმე სხვა მათი მომხრე პირნი. მაგრამ საუბედუროდ ერთი ზარალი კი მოგვცა ამ წყლის გადმოყვანამ. წყლის არხები არის პატარა და როცა ზამთარში ამ არხებს უბრალო ღვარი მიემატება, წყალი გადმოდის გზებზე და სულ აოხრებს მათ. გუბში არის ეტლები, რომლებიც ყოველ დღე დადიან გუბიდან ქუთაისში და მთელ ამ მანძილზე, 18 ვერსზე, ახდევინებენ თითო კაცს მხოლოდ 30 კაპეიკს. ეს, რასაკვირველია, მეტად მცირე ფასია და დიდ შეღავათს შეადგენს მგზავრთათვის, მაგრამ რათ გვინდა ასეთი ძვირფასი ქონება! დადგება დეკემბერი თუ არა, ხსენებული ეტლები ხონსა და ქუთაისს შუა მიმავალ გზა-ტკეცილს ვერ გადმოსცილდება, იქ უნდა შეჩერდნენ ეტლები, ხოლო პატრონებმა ცხენები უნდა შინ წაიყვანონ და დილას ისევ უნდა გამოაბრუნონ ეტლებთან. ხალხი კი სამი ვერსის მანძილზე ვაი-ვაგლახით დადის ფეხით მუხლამდის ტალახსა და წყალში. შიგ, ს. პატარა გუბაში ხალხი ისეთ გაჭირვებაშია, რომ მეზობელი მეზობლისას ვერ მისულა გაფუჭებულ გზის მიზეზით, თუ მეტად საჭირო საქმე არ აქვს. ურიგო არ იქნება, ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს, გააგანიერებინებდნენ წყლის არხებს და მოაყრიდნენ ქვას გაფუჭებულ გზებზე სანამ ზამთარის ავდრებს დაიჭერდეს, თორემ ზამთარში ძნელი გასაკეთებელი იქნება.

ლ. გუბელი

## რედაქციისაგან

**სად. სუფსაში** ბინდ ს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**გურიაში** მართლის მთქმელს ვერ დაიბეჭდება.

**დ. ოჩანჩირეში** ალია ს. ვერ დაიბეჭდება.

**ქ. ოზურგეთში** მოვაჭრეს ექვთ. ვ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება დუქნებში ქეიფი წესიერების დამყარებას არ მოასწავებს.

**ახალ-სენაკში** რაჟდ. ნ—ძეს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება. თქვენ თითონ აღიარებთ, რომ თქვენი წერილის საგანი უმნიშვნელოა.

## თეატრის მატიანე

იტალიური ოპერა. ტფილისში უკვე ჩამოვიდა ცნობილი იტალიელთა საოპერო დასი ფ. კასტელლანოსი, რომელსაც თან ახლავს სახელ-განთქმული მომღერალი ქალი ლუჩიანა-კასტელანო, კონტრალტო პ. დოვანი, ტენორი დე-გრანგი, ბარიტონი ალიბონი, ბასი ფერაიოლი და სხვ. პირველი წარმოდგენა უკვე იყო პარასკევს, 18 სექტემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში. დადგმულ იქმნა ოთხ-მოქმედებიანი ოპერავერდისა ტრუბადური. ელეონორას როლს ასრულებდა ქ. ლუჩიანა-კასტელანო და საუცხოვოდაც შეასრულა თავისი პარტია. ენრიკოს როლს ასრულებდა ბ-ნი დე-გრანი. მათმა საუცხოვო ხმამ დამსწრე საზოგადოება მოხიბლა და „ვაშას“ ძახილს დასასრული არა ჰქონდა. ქ-ნს ლუჩიანა-კასტელანოს ცხოველ ყვავილების თაიგული მიართვეს.

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველები ძალიან ცოტანი იყვნენ.

## სამეცნიერო ცნობა

### მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

ფოთოლი.

ფოთოლი შესდგება მწვანე და განიერი ნაწილიდან და კუნწიდან, რომლითაც ფოთოლი მიბმულია ღეროტზე; არიან ფოთლები, რომელთაც კუნწი (черешокъ) არა აქვთ; ასეთს ფოთოლს უკუნწო ფოთოლს ეძახიან; ფოთოლს-კი, რომელსაც კუნწი აქვს, იმას კუნწიან ფოთოლს. ფოთოლს შეიძლება მარტო ერთი ფოთოლი, ან მრავალი ფოთლუკა (листочекъ) ჰქონდეს. თუ ფოთოლი რამდენიმე ფოთლუკასაგან შესდგება, მაშინ ასეთ ფოთოლს უწოდებენ რთულს და თუ ერთისაგან—მაშინ მარტივს.

ბევრჯერ პირველი შეხედვით ძნელია გარჩევა რთული ფოთლისა მარტივი ფოთლისაგან; რთულ ფოთოლს ფოთლუკები ცალ-ცალკე სცვივა, მარტივი ფოთოლი-კი ერთბაშად ვარდება; რთული ფოთოლი ორ-გვარია: თითგვარი და ფრთაგვარი (пальчатыя и перистыя); თითგვარი ფოთლის ფოთლუკები ერთი ადგილიდან გამოდიან, როგორც თითები; ფრთაგვარ ფოთლის ფოთლუკები-კი კუნწზე ორ-მხრივ სხედან; თუ სულ ფოთლუკები წყვილ-წყვილი—მაშინ ასეთ ფოთოლს უწოდებენ წყვილ-ფრთა-ფოთოლს (парноперистый), თუ-კი რომელიმე ფოთლუკა ცალად რჩება—მაშინ არა-წყვილ-ფრთა ფოთოლს (непарноперистый). თუ რთულ ფოთოლს სამი ფოთლუკა აქვს, მაშინ ქართველები სამყურას (трилистникъ) უწოდებენ. მაგალითად სამყურა ლობიო (фасоль), იონჯა (люцерна). ჩვენში „სამყურას“ უწოდებენ უფრო ერთ მცენარეს, რომელსაც რუსულად ჰქვიან клеверъ, трилистникъ და ლათინურად „trifolium“.

ფოთოლი თავის გარეგანი შეხედულობით შეიძლება იყოს რგვალი, კვერცხგვარი, ნესტარგვარი, გულგვარი, თირკმელგვარი, ისარგვარი (стрѣловидный). ფოთოლს ნაპირები შეიძლება ჰქონდეს მთელი და შეკვეცილი; თუ ფოთოლს ნაპირები მთლიანი აქვს, მაშინ ასეთ ფოთოლს უწოდებენ მთლიან ნაპირებიანს; თუ ფოთოლს ნაპირები ცოტათი აქვს შეკვეცილი, მაშინ ხერხგვარად შეკვეცილ ნაპირებიან ფოთოლს.

მ. ზაალიშვილი

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 633.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ქალების წარმატება ამერიკაში. ამ დღეებში ამერიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური სტატისტიკური ცნობები ქალების მოძრაობის წარმატების შესახებ შეერთებულ შტატებში. შემდეგი ციფრები გვიჩვენებენ, თუ როგორ სწრაფად მრავლდება ქალების რიცხვი ყოველგვარ ხელობაში, რომლებიც დიდხანს მამაკაცების საკუთრებას შეადგენდა.

| ქალები | 1870 | 1890 | 1897 |
|---|---|---|---|
| არხიტექტორი (ხუროთ-მოძღვარი) . | I | 22 | 53 |
| მხატვრები და მოქანდაკენი . . | 412 | 9810 | 15340 |
| მწერლები . . . | 159 | 2725 | 3164 |
| მღვდლები . . . | 67 | 1235 | 2522 |
| კბილის ექიმები . | 24 | 337 | 417 |
| ინჟენრები . . . | 0 | 127 | 201 |
| ჟურნალისტები . | 35 | 888 | 1436 |
| ადვოკატები . . | 5 | 208 | 471 |
| მემუსიკენი . . | 5753 | 34518 | 47309 |
| მოხელენი . . . | 414 | 4875 | 6712 |
| ექიმები . . . | 527 | 4555 | 6882 |
| თიატრების დირექტორები . . | 100 | 634 | 943 |
| ბუღალტერები . | 0 | 27775 | 43071 |
| მდივნები, გადამწერლები და სხ. . | 8016 | 64048 | 92824 |
| სტენოგრაფები და ასოთ-ამწყობები . | 7 | 21185 | 50633 |

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 სექტემბერი

**კოპენჰაგენი.** დედოფალი მშვიდად მიიცვალა. ამ დროს იქ დაესწრნენ მეფე, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის მეფე და დედოფალი, პრინცესა უელსისა, კუმბერლანდის ჰერცოგი და ჰერცოგინა, დანიის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ, პრინცი ვოლდემარი მეუღლითურთ, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ, დანიის პრინცი კარლოსი მეუღლითურთ და მრავალნი ნორჩნი წევრნი ოჯახობისა. მეფემ ბრძანება გასცა აკრძალულ იქმნას ყოველგვარი საზოგადო გასართობი 4 ოქტომბრამდე და აგრეთვე განსვენებულის დაკრძალვისა და წინა დღეს. ყოველ დღე ორის საათის განმავლობაში ზარის რეკვა უნდა იყოს დაკრძალვის დღემდე.

**ლონდონი.** „ტიმესს“ დეპეშით სწერენ პეკინიდგან, რომ ეხლა კვლავ დანიშნულ იქმნა უზუნ-ლიიამენის წევრად ხსუ-იუნგი, რომელმაც 1895 წელს ხელშეკრულობა დასდო ჯერარდთან და შემდეგ, ინგლისის თხოვნით, განდევნილ იქმნა უზუნ-ლიიამენიდან მიცემულ სიტყვის გატეხვისა გამო.

**ბუდაპეშტი.** ორშოვში დაპატიმრებულ იქმნა კაცი, რომლის წინააღმდეგ მრავალი საბუთია იმისი, რომ რუმინიის მეფის მოკვლის განზრახვა ჰქონია. ამ კაცს უპოვნეს ყალბი ბასპორტი მილოშ დემსტროვიჩის სახელობაზე, საწამლავით სავსე შუშა, ხანჯალი და სხვა იარაღი

**პარიზი.** „ფიგარო“ ამბობს, რომ თუ საკასაციო სასამართლო საქმის მომხსენებელი დამატებითს გამოძიებას მოითხოვს, იმ შემთხვევაში საქმე სავსებით იქმნება განახლებული და განაჩენს ჩქარა ვერ დაადგენენ. სასჯულო საქმეთა სამინისტროს იმედი არ აქვს, რომ საქმე იანვარზე ადრე დაბოლოვდეს. მთავარ-ბრალმდებელმა განაცხადა, რომ საქმე საკასაციო სასამართლოს ოქტომბრის თვის დამლევზე ადრე ვერ გადმოეცემაო.

**ლონდონი.** „ტიმესს“ აუწყებენ გონკონგიდან: „კან-იუმენს სახლობა მაკაოში გაიქცა. თუმცა კანტონში დიდძალი ხალხი დასაჯეს, ამბოხება მაინც ძლიერდება.

**პარიზი.** რათა საუკუნოდ სახსოვარ ყოფილ იქმნას რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცას პარიზში ყოფნა, საფრანგეთის მთავრობამ მხატვარს როლლს შეუკვეთა დიდის სურათის დახატვა, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს ალექსანდრე მესამის სახელობაზე აგებულ ხიდის საძირკვლის ჩაყრა. ორის წლის მუშაობის შემდეგ მხატვარმა უკვე დაამთავრა თავისი სანიშნავი შრომა. ამ სურათს ვერსალის მუზეუმში მოათავსებენ.


## განცხადებანი

იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 - 9)